ცხრა ძირითადი მოთხოვნა მართლმსაჯულების პროცესში ბავშვის ეთიკური და შინაარსიანი მონაწილეობისთვის

(ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით)

სტატიის ავტორი: „**Save the Children UK on behalf of International Save the Children Alliance, London.**“

არაოფიციალური თარგმანი

მასალა მოამზადა სოფიკო მენაბდიშვილმა

წინასიტყვაობა

ბავშვთა უფლებები უპრეცენდენტოდ გაფართოვდა გლობალურ დონეზე. ბავშვთა უფლებების აღიარების ამჟამინდელი დონე არის ახალი მგრძნობელობის მაჩვენებელი, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ, 31 წლის წინ გამოხატა ბავშვთა უფლებების შესახებ პირველი სამართლებრივი დოკუმენტის შექმნით. თუმცა ბავშვების წინაშე არსებული გამოწვევები ჯერ კიდევ იმდენად მრავლადაა საზოგადოებაში, რომ საჭიროებს მეტად დამუშავებას. ამ გამოწვევებში პროცესში ბავშვთა მონაწილეობის საკითხი ერთ-ერთი მთავარია.

ბავშვების მოსმენა ხშირად უგულებელყოფილია უფროსებისა და სხვადასხვა უწყების მიერ. პანდემიის დროს, ჩვენ მოწმენი გავხდით, თუ როგორ არ იყო ბავშვების ხმა გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას. ბავშვებს იშვიათად უწევდნენ კონსულტაციას მათი გრძნობების, შიშების, მოლოდინებისა და შეთავაზებების შესახებ, რაც იმის მაჩვენებელია, თუ რამხელა შრომაა ჯერ კიდევ გასაწევი. მონაწილეობის ფორმები, რომლებიც ჩვეულებრივ ვითარდება ზრდასრულთა ლოგიკით და პერსპექტივით, ხელმეორედ უნდა გადაიხედოს, რათა ბავშვები გახდნენ ჩვენი საზოგადოებების აქტიური გმირები. მათთან გამოყენებული ენა მორგებული უნდა იყოს მათ ასაკთან და განვითარების დონესთან შესაბამისობაში და შეირჩეს მეგობრული ფორმატები იმისათვის, რომ ჩაერთონ სოციალურ პროცესებში.

იმისათვის, რომ ამას მივაღწიოთ, უნდა გავთავისუფლდეთ წინასწარ განწყობებისგან, რაც ბლოკავს და ზღუდავს ბავშვების არსებობას სოციუმში.

„მე გიწვევთ თქვენ რომ წაიკითხოთ ეს დოკუმენტი და ყოველდღიურობაში დანერგოთ, რადგან ჩვენ გვჭირდება მუდმივი სწავლება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭები და გოგონები გვაჩვენებენ, რომ მათი თანამონაწილეობით ჩვენს სოციუმში, მათივე ახალი, უპრეცედენტო და თავისუფალი მსოფლმხედველობით, დიდ სარგებელს მივიღებთ.[1]

---

[1] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No.12, ბავშვის მოსმენის უფლება, CRC/C/GC/12, 2009 წლის ივლისი, პუნქტი 3.

ლუის პედერნერა

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე

შესავალი

ბავშვთა თანამონაწილეობა გულისხმობს:

“მიმდინარე პროცესს, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გაზიარებას და დიალოგს ბავშვებსა და უფროსებს შორის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, და რომელშიც ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ, თუ როგორ ხდება მათი და უფროსების შეხედულებების გათვალისწინება და ამგვარი პროცესებით შედეგზე ფორმირება.”

ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) მე-12 მუხლი - ბავშვის მოსმენის უფლება - არის ბავშვების მონაწილეობის ფუნდამენტური პრინციპი. როგორც CRC-ის ოთხი სახელმძღვანელო პრინციპიდან ერთ-ერთი, მე-12 მუხლი დაკავშირებულია და განუყოფელია კონვენციით გათვალისწინებული ყველა სხვა უფლებისგან. არის დამატებითი სტატიები, რომლებიც კონკრეტულად კვეთს მე-12 მუხლს და პირდაპირ გვეხმარება ბავშვების მონაწილეობის მნიშვნელობის განსაზღვრაში. ეს სამოქალაქო უფლებები ფართოდ იქნა დამკვიდრებული ტერმინით „მონაწილეობა“ და მოიცავს გამოხატვის, აზრის, სინდისის, რელიგიის, გაერთიანების, მშვიდობიანი შეკრების, კონფიდენციალურობის დაცვისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას (CRC-ის 13-17 მუხლები).

გარდა ამისა, კონვენციის 23-ე მუხლი ხაზს უსვამს ისეთი პირობების შექმნის მნიშვნელობას, რომელიც ხელს შეუწყობს შშმ ბავშვების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებაში. ხოლო 29-ე მუხლი ახალისებს განათლებას, რომელიც, თავის მხრივ ამზადებს ბავშვს თავისუფალ, მშვიდობიან, ტოლერანტულ და თანასწორ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის.

Save the Children-ის განმარტებით, ბავშვების მონაწილეობა არ არის მხოლოდ აქტივობა ან ღონისძიება, არამედ მთავარი პრინციპია, რომელიც განსაზღვრავს პროცესში ჩვენს ქცევას.

ბავშვების მონაწილეობა მოიცავს მრავალ ასპექტს და არის უმთავრესი პრინციპი სწორი მიდგომისა და სამყაროს მხრიდან მათთან მოპყრობის ჩამოყალიბებისთვის. ეს არის სამოქალაქო უფლებების ერთობლიობა, გამოსაყენებელი პრინციპი და სხვა უფლებათა შესრულების საშუალება.

2000-2006 წლებში, Save the Children მხარს უჭერდა ბავშვების მონაწილეობას ორ მნიშვნელოვან პროცესში: გაეროს სპეციალურ სესიაზე ბავშვების შესახებ და გაეროს კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ. სათემო, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვები მონაწილეობდნენ და აზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას/ რეკომენდაციებს. სწორედ ამ პროცესების მეშვეობით დავინახეთ, რომ ბავშვი ისტორიაში

პირველად მიმართავს გაეროს გენერალურ ასამბლეას და ყალიბდება ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო მექანიზმები იმისათვის, რომ შეწყდეს ძალადობა ბავშვების მიმართ (ბავშვებთან), რომელიც დღემდე არსებობს.

2009 წლიდან, UNCRC-ის მე-12 მუხლის ზოგადი კომენტარი (CRC/C/GC/12) მოიცავს, შვიდი სტანდარტის საფუძველზე შექმნილ, ცხრა ძირითად მოთხოვნას ბავშვის მოსმენის უფლების განსახორციელებლად.

ცხრა ძირითადი მოთხოვნა ბავშვების შინაარსიანი და ეთიკური მონაწილეობისთვის ემსახურება ბავშვის ხარისხიანი მონაწილეობის უზრუნველყოფას „ყველა პროცესში, რომლებსაც ბავშვები ისმენენ და მონაწილეობენ“.

1. **გამჭვირვალობა და ინფორმაციის მიწოდება**

პირველი მოთხოვნის მიხედვით ბავშვებმა ნათლად უნდა გააცნობიერონ თავიანთი შეხედულებების გამოხატვის უფლება და ის, რომ მათ მოუსმენენ და დააფასებენ. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რატომ არიან ჩართულნი მოცემულ პროცესში, რის მიღწევაში დაეხმარება მათი მონაწილეობა პროცესს და რა გავლენას მოახდენს გადაწყვეტილებებზე, გეგმებზე. ბავშვებს უნდა ქონდეთ წვდომა საჭირო ინფორმაციაზე და რესურსებზე, რათა გაიგონ ძირითადი ტერმინოლოგია და პროცესები/აქტივობები, რომლებშიც ისინი არიან ჩართულნი. კონკრეტულად, ბავშვებს უნდა ესმოდეთ, რას სთხოვენ, რა დასასრული ექნება მათ მიერ გაზიარებულ ინფორმაციას და ვის ექნება წვდომა ინფორმაციაზე. ბავშვებს უნდა ესმოდეთ, რომ მათ შეუძლიათ თავისუფლად დასვან კითხვები, მოიძიონ განმარტებები, წამოჭრან პრობლემები და/ან გამოხატონ იდეები და რეკომენდაციები.

პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ:

- შესაძლებლობები და შეზღუდვები ნათლად არის განმარტებული ბავშვისთვის.
- ბავშვის როლი და პასუხისმგებლობა არის ნათლად განმარტებული.
- ბავშვისთვის ცხადია რა სიკეთის მოტანა შეულია საზოგადოებისთვის, პროცესისთვის.
- ბავშვისთვის შესაფერისი ინფორმაცია მოწოდებულია შესაბამის და ხელმისაწვდომ ენებზე/ფორმატებში.
- ბავშვს ინფორმაცია მიეწოდება დროულად.
- ბავშვი ნათლად იგებს შესაბამის პროცედურებს და რწმუნდება მისი მონაწილეობის მნიშვნელობაზე.
- ბავშვის შეხედულებები გავლენას მოახდენს და განსაზღვრავს გადაწყვეტილებებს, გეგმებს დროულად.
- პროფესიონალები ბავშვებთან არიან ღია და პატიოსნებით გამსჭვალულნი.
- ისინი არ მანიპულირებენ ბავშვებით.
- ბავშვები არიან თავისუფალნი რომ დასვან კითხვები და იციან, რომ შეუძლიათ მიიღონ მეტი ინფორმაცია თუ მოესურვებათ.
- პროფესიონალები იღებენ და პასუხობენ მოულოდნელ ცვლილებებს/გამოწვევებს და ბავშვებთან ერთად ეძებენ სხვადასხვა გზებს.
- პრობლემის გადაჭრა ბავშვთან ერთად ხდება.

2. ნებაყოფლობითობა

ბავშვებმა უნდა მიიღონ საკმარისი ინფორმაცია, რათა გააკეთონ არჩევანი, გადაწყვიტოს ჩაერთოს თუ არა პროცესში, შემთხვევის მიხედვით - რომელიმე კონკრეტულ პროცესში. ბავშვებს ნათლად უნდა ესმოდეთ მათი არჩევანის შედეგები და აქვთ უფლება თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილებები, მიიღონ მონაწილეობა თუ არა.

ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს უნდა ქონდეთ კომპეტენცია, რომლებიც აუცილებელია ბავშვების, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების წახალისებისთვის, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროცესებში. პროფესიონალების ვალდებულებაა არ აიძულონ ბავშვები მოანწილეობის მიღებაზე. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ უარი თქვან მონაწილეობაზე, შესაბამისად უნდა ფლობდნენ ინფორმაციას პროცედურულად როგორ მოახერხონ აღნიშნული.

კულტურა, რომელიც ბავშვის პატივისცემაზე უნდა იყოს მიმართული, მიიღწევა მხოლოდ ბავშვის მონაწილეობით

პრაქტიკაში ეს ნიშნავს:

- ბავშვებზე (პირდაპირ ან ირიბად) ზეწოლა მიიღონ მონაწილეობა დაუშვებელია.
- ბავშვებს უნდა ესმოდეთ მათი მონაწილეობის პრინციპები (მაგ. ეს ცხრა ძირითადი მოთხოვნა)
- ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ უარი თქვან პროცესში მონაწილეობაზე;
- ბავშვებს ეძლევათ საკმარისი და შესაბამისი ინფორმაცია, ასევე ეძლევათ დრო ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად;
- ბავშვებს ესმით, რას ნიშნავს მათი არჩევანი;
- ბავშვებს აქვთ საკმარისი ცოდნა განსახილველი საკითხის/ მიზნის შესახებ;
- პროფესიონალებს აქვთ მკაფიო პოლიტიკა მონაწილეობის შესახებ, თანხმობისა და კონფიდენციალურობის ჩათვლით;
- პროფესიონალებმა იციან, რომ ბავშვის მიერ ზეწოლის ქვეშ გაცემული ნებართვა არ არის თანხმობა;
- ბავშვებს, პროფესიონალებსა და ზრდასრულ პირებს აქვთ ინფორმაცია გამოწვევების/რისკების შესახებ.

1. პატივისცემით ბავშვებთან!

ბავშვების შეხედულებებს ყველა პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს. ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციებმა უნდა შექმნან კულტურა, რომელიც ბავშვებს მისცემს საშუალებას თავად შექმნან იდეები და გამოხატონ თავიანთი შეხედულებები ისე, რომ არ იგრძნონ, რომ ჯერ

ზრდასრულისგან უნდა მოითხოვონ ნებართვა. ბავშვების შეხედულებებს უნდა მოვუსმინოთ და შევაფასოთ. ბავშვებს საკუთარი შეხედულებების გამოხატვა უნდა შეეძლოთ იმგავარად, რომ არ ეშინოდეთ რაიმე ფორმით დისკრიმინაციის.

ბავშვების მიმართ გამოხატული პატივისცემა აყალიბებს კულტურას, რომელიც არ უგულებელყოფს მათ შეხედულებებს და ითვალისწინებს მათ წარმომავლობას, გამოცდილებას, შეშფოთებას, დაუცველობას და არსებულ ვალდებულებებს, პატივისცემა უზრუნველყოფს იმას რომ ბავშვები არ იქნებიან დამცირებულნი. პატივისცემა ქმნის ხელსაყრელ გარემოს ბავშვებისთვის და ხელს უწყობს ბავშვებისადმი მზრუნველ და ყურადღებიანი გარემოს შექმნას.

პრაქტიკაში ეს გულისხმობს, რომ:

- ბავშვებს შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებები;
- ბავშვებს შეუძლიათ თავდაჯერებულად გაუზიარონ თავიანთი მოსაზრებები, იდეები და შეხედულებები;
- ეფექტური ფასილიტაცია უზრუნველყოფს, რომ ბავშვები არ იყვნენ დამცირებულნი, არ შეეშინდეთ, ან არ გახნდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი.
- ეფექტური ფასილიტაცია უზრუნველყოფს, რომ მუშაობის გზები იყოს კულტურული და გენდერული მგრძნობიარე.
- პროფესიონალები თავაზიანი და ყურადღებიანი არიან;
- პროფესიონალებს აქვთ ეფექტური მოსმენის უნარები (პირადი და ონლაინ ინტერაქციის ჩათვლით);
- პროფესიონალები არ დომინირებენ დიალოგში და არ ახვევენ თავს ბავშვებს თავიანთ ღირებულებებსა და მოსაზრებებს;
- ძირითადი მოზარდები (მაგ. მშობლები, მასწავლებლები) მხარს უჭერენ ისეთ პროფესიონალებს, რომელთაც კარგად ესმით სოციალურ-ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კულტურული კონტექსტი რომლებთანაც მუშაობენ და შესაბამისად განსაზღვრავენ მათ მხარდაჭერას
- ბავშვების მიერ შემუშავებული დოკუმენტები, მონაცემები და პროდუქტები სათანადოდ უნდა იქნეს შენახული;
- უფროსები ბავშვებს არ უნდა იყენებენ ან მანიპულირებდნენ მათით, როცა განსაზღვრულია მათი მონაწილეობის დღის წესრიგი.
- ბავშვები მხარდაჭერილები არიან რომ ჰქონდეთ კომუნიკაცია, რაც ემყარება პატივისცემას, ჩართულობას მათ თანატოლებთან/სხვა ბავშვებთან ერთად;
- ბავშვებს ესმით სხვა ბავშვების კონფიდენციალურობისა და პირადი საზღვრების პატივისცემის მნიშვნელობა.

2. RELEVANT - შესაბამისობა

ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი გამოცდილება, ცოდნა და შესაძლებლობები, რათა გამოხატონ თავიანთი შეხედულებები მათი ცხოვრებისთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან

საკითხებზე. შესაბამისი ინფორმაცია მოცემული და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვებისთვის. ბავშვებს უნდა ესმოდეთ, რატომ არის ეს საკითხი მათთვის აქტუალური და რატომ იკვლევენ მათ შეხედულებებს და გამოცდილებას. ბავშვები სრულად უნდა აფასებდნენ, თუ როგორ იქნება მათი წვლილი პროცესში კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ბავშვების მოლოდინები ეფექტურად უნდა იმართებოდეს და შესაბამისობაში უნდა იყოს მათი მონაწილეობის აქტუალობაც და შეზღუდვებიც. ბავშვებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ამოიცნონ ის საკითხები, რომლებიც თავად მიაჩნიათ, რომ აქტუალური და მნიშვნელოვანია.

რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში:

- დისკუსია / კვლევა / კონსულტაცია / პროცესი;
- ბავშვებს ესმით, თუ როგორ დაეხმარება მათი მონაწილეობა პროცესს;
- ეფექტური ფასილიტაცია საშუალებას აძლევს ყველა ბავშვს ჩაერთოს პროცესში და აქტივობებში;
- დაგეგმვის პროცესში ყურადღებით გათვალისწინებულია კულტურული ფაქტორები;
- ბავშვები ჩართულნი არიან იმ გზებით, რომლებიც შეესაბამება მათ ასაკს, შესაძლებლობებს და გარემოებებს. ბავშვებს კარგად ესმით რაზე შეუძლიათ ან არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ; მათი მოლოდინები ეფექტურად იმართება;
- ნებისმიერი მოულოდნელი ცვლილება პროცესში ეცნობება სენსიტიურ ბავშვებს. ბავშვებს აქვთ წვდომა ბავშვებისთვის ხელსაყრელ ინფორმაციაზე, რათა მათ ეფექტურად განსაზღვრონ, თუ როგორ სურთ მონაწილეობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებში;
- ინფორმაციის გაზიარებასთან/დისტანციურ მონაწილეობასთან დაკავშირებული ჩართულობის მეთოდები და ვარიანტები შესწავლილია ბავშვებთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში ხელახლა განიხილება/ადაპტირებულ;
- გათვალისწინებულია საკომუნიკაციო ენა

3. CHILD FRIENDLY – ბავშვისთვის მეგობრული

ბავშვებთან დაკავშირებულ პროცესებში ბავშვები თავს მიღებულად, თანასწორად უნდა გრძნობდნენ. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ წვდომა პროცესში მონაწილე ყველა პროფესიონალთან მუშაობის მეთოდები უნდა განსხვავდებოდეს მათი განვითარების, ასაკის, მრავალფეროვნების და შესაძლებლობების მიხედვით. ბავშვებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ კითხვების დასმა და პრობლემებზე საუბარი. გამოყენებული მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს, რომ ბავშვებმა თავდაჯერებულად ისაუბრონ, გააზიარონ სურვილები და გამოხატონ აზრი. ბავშვებს უნდა მიეცეთ საკმარისი დრო, ინფორმაცია და მასალები, რომელიც ამავდროულად უნდა იყოს ეფექტური, რათა ხელი შეეწყოს მათ მონაწილეობას. ბავშვები უნდა გრძნობდნენ, რომ მათი წვლილი შეფასდება და გამოყენებული იქნება დანიშნულებისამებრ.

რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში:

- შეხვედრის ადგილები და შეხვედრების დრო ბავშვებისთვის მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს;

- ბავშვისთვის სასარგებლო ინფორმაცია წინასწარ მიეწოდება ბავშვებს და მათ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს;
- თანხმობა მიიღება ღონისძიების, შეხვედრის ან აქტივობის დაწყებამდე;
- ბავშვები ავითარებენ ბავშვებისთვის ინფორმაციისა და კომუნიკაციის მასალებს და მეთოდებს;
- პროფესიონალებს აქვთ კომპეტენციები დაამშვიდონ ბავშვები და განავითარონ მათი თვითშეფასება და თავდაჯერებულობა;
- პროფესიონალები იცნობენ ბავშვებისთვის მეგობრული და ინკლუზიური მეთოდების მრავალფეროვნებას;
- პროფესიონალები არიან ადაპტირებულები და მოქნილები თავიანთ მიდგომებში;
- შემოთავაზებული აქტივობებისთვის საკმარისი დროა გამოყოფილი;
- შესაბამისი და ბავშვისთვის სასარგებლო ინფორმაცია წინასწარ მიეწოდება ბავშვებს და მათ მშობელს/აღმზრდელს. თანხმობა მიიღება ღონისძიების, შეხვედრის ან აქტივობის დაწყებამდე;
- ყველა შესაძლო ძალისხმევა ხდება იმისთვის, რომ სივრცეები/პლატფორმები ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ბავშვისთვის;
- ბავშვები იღებენ ადვილად შესასრულებელ ინსტრუქციებს წვდომის დისტანციური / ონლაინ პლატფორმების გამოყენების შესახებ;
- ბავშვები და პროფესიონალები მუდმივად აფასებენ, თუ როგორ მუშაობს და იქმნება პარამეტრები/პლატფორმები პროცესის გაუმჯობესებისთვის.

4. ინკლუზიურობა, როგორც ბავშვთა მონაწილეობის აუცილებელი პირობა

იმის გაცნობიერებით, რომ ყველა ბავშვი არ მიეკუთვნება ჰომოგენურ ჯგუფს, მონაწილეობა ხელს უწყობს ინკლუზიურობას და ეპყრობა თითოეულ ბავშვს, როგორც ინდივიდს.

მონაწილეობის პროცესში არც ერთი ბავშვი არ უნდა იყოს დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი. მონაწილეობის პროცესი ითვალისწინებს დისკრიმინაციის არსებულ მოდელებს, ძალაუფლების დისბალანსს და კულტურულ სენსიტიურობას. პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მეთოდები, მიდგომები, საკომუნიკაციო ენა საერთო სტანდარტის უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის. პროცესი არ უნდა ახდენდეს ბავშვების დისკრიმინაციას მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე; ის არ უნდა იყოს დამამცირებელი არც ერთ შემთხვევაში. მონაწილეობის პროცესში აუცილებელია თითოეულმა ბავშვმა იცოდეს, რომ ისინი არიან დაფასებულნი, პატივცემულნი და მნიშვნელოვანნი.

რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში:

- ბავშვები არ არიან დისკრიმინირებულნი ასაკის, სქესის, რასის, ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობის, დაბადების ადგილის ან სხვა ნიშნის გამო;
- ბავშვები ჩართული არიან ყველა სქესის, ასაკის, წარმომავლობისა და შესაძლებლობების მიუხედავად;

- ბავშვების სხვადასხვა ჯგუფებისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო სივრცე მათთვის შესაბამისი საკითხების შესასწავლად (მაგ. გოგონები, რომლებიც მუშაობენ ბიჭებისგან დამოუკიდებლად, საჭიროების შემთხვევაში);
- პროცესი უზრუნველყოფს, რომ დისკრიმინაციისა და უთანასწორობის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებულ ბავშვებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა და მათი ხმა მოისმინონ და შეფასდეს. მონაწილეობა საკმარისად მოქნილია იმისათვის, რომ უპასუხოს ცალკეული ბავშვების მოთხოვნილებებს, მოლოდინებსა და სიტუაციებს, გამოწვევებს და პასუხობს დისკრიმინაციის არსებულ მოდელებს;
- მეთოდები და ხელშეწყობის ტექნიკა არ ახდენს ბავშვების დისკრიმინაციას, ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს თანაბარ ხელმისაწვდომობას;
- პირდაპირი ძალისხმევა ხდება იმისათვის, რომ ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი იყოს გარემო, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლადიგუფებისთვის. კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით (მაგ., შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ტრანსპორტირება და ადგილები);
- ბავშვები ჩართულნი არიან პრობლემის გადაჭრასა და სხვადასხვა საკითხის შესწავლაში, რათა უზრუნველყონ ინკლუზიური მონაწილეობა;
- შესწავლილი / ჩამოყალიბებულია პარტნიორობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და მათ წარმომადგენლობით ჯგუფებთან, რათა განისაზღვროს მათი მონაწილეობის სტრატეგია;
- ბავშვებისთვის მოსახერხებელი ინფორმაცია ხელმისაწვდომია და მოიცავს აუდიო, დიდი ბეჭდვითი, სურათები და ჟესტების ენას;
- ბავშვების სხვადასხვა ჯგუფს ეძლევა უსაფრთხო სივრცე მათთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად. ქონება, შეზღუდული შესაძლებლობა, დაბადების ან სხვა სტატუსი, ყველა სქესის, ასაკის, წარმომავლობისა და შესაძლებლობების ნიშნის მიხედვით.

5. მხარდაჭერითი ტრენინგი

ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი და აღიჭურვოს ყველა საჭირო ცოდნით, რაც საჭიროა ბავშვებთან ეფექტური მუშაობისთვის. კერძოდ, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები უნდა ფლობდნენ კომუნიკაციის უნარებს, ფასილიტაციის უნარებს და ანალიტიკურ უნარებს. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ბავშვთა უფლებების შესახებ ტრენინგზე, ადვოკატირებაზე, მედიასთან კომუნიკაციაზე, გადაწყვეტილების მიმღებთა პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, შეხვედრებში ჩართვაზე, ფასილიტაციაზე და ტრენინგების შემუშავებასა და მიწოდებაზე.

რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში:

- ყველა პროფესიონალს, რომელიც ურთიერთობს ბავშვებთან, უნდა ჰქონდეს თავდაჯერებულობა, უნარები, რათა ხელი შეუწყოს ბავშვების მონაწილეობის პროცესებს;
- ყველა პროფესიონალი, რომელიც ურთიერთობს ბავშვებთან, ესმის ეს ცხრა ძირითადი მოთხოვნა და ესმის, რატომ არის მნიშვნელოვანი მონაწილეობა;
- არსებობს სწავლისა და განვითარების გეგმები, რათა ხელი შეუწყოს ბავშვთა უფლებების შესახებ სწავლების, მათი მონაწილეობის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას;
- არსებობს ფორმალური და არაფორმალური შესაძლებლობების მრავალფეროვანი სპექტრი სწავლის, ცოდნისა და ტექნიკური უნარების განვითარების გასაადვილებლად;
- პროფესიონალებს მიეცათ დრო და წვდომა საკვანძო დოკუმენტებსა და შესაბამის რესურსებზე;
- პროფესიონალები და ბავშვები ერთობლივად იღებენ მონაწილეობას ტრენინგში (როდესაც საჭირო/შესაძლებელია);
- ბავშვებს აქვთ წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე, რესურსებსა და პერსონალზე თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების გასაუმჯობესებლად;
- პროფესიონალებმა იციან რას ნიშნავს ბავშვების მანიპულირება და იღებენ პრევენციულ ზომებს მისგან თავის დასაცავად;
- პროფესიონალებს/დამხმარე პირებს შორის ურთიერთობა დადებითია და ისინი ერთმანეთს პატივისცემითა და პატიოსნებით ეპყრობიან;
- პროფესიონალებს შეუძლიათ ეფექტურად ნავიგაცია დისტანციურ/ონლაინ პლატფორმებზე, რათა უზრუნველყონ მათი ურთიერთობა ბავშვებთან პატივისცემის, მეგობრული და ინკლუზიური გარემოს მიწოდების გზით;
- არსებობს სწავლისა და შეფასების გეგმები ბავშვების მონაწილეობის სივრცეებში/პლატფორმებში ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მხარდასაჭერად;
- პროფესიონალებს შეუძლიათ ბავშვებთან ერთად მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და შემცირება (მათ შორის დისტანციური/ონლაინ პლატფორმები).

6. უსაფრთხო და მგრძნობიარე რისკის მიმართ

ბავშვების სხვადასხვა ჯგუფს ეძლევა უსაფრთხო სივრცე მათთვის შესაბამისი საკითხების შესასწავლად. თანამშრომლებს აქვთ პასუხისმგებლობა იმ ბავშვების მიმართ, ვისთანაც მუშაობენ. პერსონალმა უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ბავშვების მიმართ ძალადობისა და ექსპლუატაციის რისკი ან ბავშვების პროცესში მონაწილეობის სხვა უარყოფითი შედეგები. აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური რისკები წინასწარ იქნა გამოვლენილი. არსებობს მკაფიო „რისკის მართვის“ გეგმები ბავშვების უსაფრთხო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისი ორგანიზაციული პოლიტიკა და პროცედურები გასაგები უნდა იყოს პროფესინალებისთვის და დანერგილი იყოს მისი ეფექტურად გამოყენება. მონაწილეობის მოლოდინების მართვა და ეფექტური კომუნიკაცია ხდება პერსონალს, მშობლებს/მზრუნველებს და ბავშვებს შორის. ეს მოლოდინები ნათლად

განსაზღვრავს მონაწილეობასთან დაკავშირებულ სარგებელს, საზღვრებსა და პოტენციურ რისკებს.

რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში:

- ბავშვებმა იციან თავიანთი უფლებები და იციან როგორ მოიპოვონ დახმარება და მხარდაჭერა საჭიროების შემთხვევაში;
- გამოყენებულია პრინციპები „არ დააზიანო“ და „ბავშვის საუკეთესო ინტერესები“;
- განხორციელდა სენსიტიურობისა და რისკის შეფასება;
- მონაწილეობის პროცესში ჩართულმა ბავშვებმა იციან თავიანთი უფლებების დაცვა ძალადობისგან და იციან ვის მიმართონ დახმარებისთვის საჭიროების შემთხვევაში;
- არსებობს ბავშვის დაცვისთვის შემუშავებული გეგმა რისკების შესამცირებლად, ძალადობის თავიდან ასაცილებლად და ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ზოგიერთი ბავშვი აწყდება დახმარების მიღებისას;
- საჭიროების შემთხვევაში დადგენილია, რომ აუცილებელია მივმართოთ სპეციალისტებს ბავშვების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერისთვის (ან სხვა გადაუდებელი დახმარებისთვის);
- ბავშვები ჩართულნი არიან რისკების იდენტიფიცირებაში და გადაწყვეტილებების შექმნაში.ბავშვები თავს დაცულად გრძნობენ, როდესაც მონაწილეობენ;
- პროფესიონალები აღიარებენ თავიანთ სამართლებრივ და ეთიკურ პასუხისმგებლობებს ქცევის კოდექსების, ბავშვის დაცვის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად;
- დაწესებულია პროცედურა, რომელიც საშუალებას აძლევს პროცესში მონაწილე ბავშვს გააკეთოს უკუკავშირი კონფიდენციალურად;
- თანხმობა მიიღება ბავშვების მიერ მოწოდებული ყველა ინფორმაციის გამოყენებაზე და კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია ყოველთვის დაცულია;
- არ შეიძლება ბავშვის ფოტო, ვიდეო ან ციფრული გამოსახულების გადაღება ან გამოქვეყნება ბავშვისა და მშობლის/მზრუნველის აშკარა თანხმობის გარეშე;
- ბავშვებთან დაწესებულია ძირითადი წესები უსაფრთხო ურთიერთობის და პატივისცემის შესახებ (მათ შორის ონლაინ ინტერაქცია და თანატოლებთან ურთიერთქმედება);
- არსებობს შეთანხმება იმაზე, თუ როგორ გაზიარდება (ან არა) პერსონალური ინფორმაცია, ვიდეოები და ფოტოები, რათა დავიცვათ ყველას უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა;
- ბავშვებს და მშობლებს/მზრუნველებს აქვთ ინფორმაცია ონლაინ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

7. ანგარიშვალდებულება

ბავშვებმა უნდა მიიღონ უკუკავშირი იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეიტანეს პროცესის ყველა ეტაპზე. მონაწილეობა არ არის ცალკეული მოვლენა. ბავშვების შეხედულებებმა და წუხილმა,

ქმედებებმა, გავლენა უნდა მოახდინოს რეკომენდაციებზე და უზრუნველყოს მათ შესახებ გადაწყვეტილების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაუსვან კითხვები და მიაწოდონ უკუკავშირი მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით. მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები სისტემატურად უნდა იყოს დოკუმენტირებული და გამოყენებულ იქნას ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. სათანადო უკუკავშირი უნდა მიეწოდოს ბავშვებს დროულად. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური დრო, მხარდაჭერა და ინფორმაცია, რათა გაუზიარონ მათი გამოცდილება თანატოლებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დასახელებული არიან მათი თანატოლების და/ან თემების მიერ მათი შეხედულებების წარმოსაჩენად.

რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში:

- შემუშავებულია ბავშვებთან მკაცრი მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები;
- ბავშვებთან კომუნიკაციისა და შემდგომი დაკვირვების მექანიზმები განსაზღვრულია;
- ბავშვები ხედავენ მათი მონაწილეობის შედეგებს;
- ბავშვების მონაწილეობა მხარდაჭერილია ანგარიშვალდებულების მექანიზმების ფარგლებში;
- ყველა ბავშვს აქვს მთელი რიგი შესაძლებლობები, რათა გამოაქვეყნოს თავისი შეფასება (არა მხოლოდ იმ ბავშვებს, რომლებიც მონაწილეობენ კონსულტაციებსა და ღონისძიებებში);
- ბავშვები იღებენ სათანადო, გულწრფელ და გამჭვირვალე პასუხებს მათ შეკითხვებზე და კითხვებზე;
- შემუშავებულია ნებისმიერი საბოლოო ანგარიშის/შეფასების ბავშვებისთვის შესაფერისი ვერსიები – ბავშვები იკვლევენ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ ინფორმაცია საკუთარი ქმედებების/პროცესების მხარდასაჭერად;
- უკუკავშირის მექანიზმები ჩართულია ნებისმიერ პროცესში (მათ შორის ონლაინ/დისტანციურ პლატფორმებზე);
- ბავშვებთან ნებისმიერი ურთიერთქმედება პატივს სცემს მათ უფლებას მიიღონ ინფორმაცია და მიიღონ ზომები;

სტატია ეყრდნობა შემდეგ წყაროებს:

1. **Committee on the Rights of the Child General Comment No.12,**
2. **The Right of the Child to be Heard, CRC/C/GC/12, July 2009.**
3. **https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/AdvanceVersions/CRC-C-GC-12.pdfhttps://rm.coe.int/16804b2cf3** "Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice"

სტატიის ორიგინალი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:

https://resourcecentre.savethechildren.net/document/nine-basic-requirements-meaningful-and-ethical-childrens-participation/

Published by Save the Children savethechildren.net